ახალი ხარაგაული

297 (24) 9 სექტემბერი, 2015 წ

პედაგოგთა ხელფასი იმპერებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება. რა სიახლეებით ხვდებიან ხარაგაულის საჯარო სკოლები სასწავლო პროცესის დაწყებას, ამის შესახებ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, დავით კიკნაძეს, გავესაუბრეთ.

- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 14 სექტემბერს განახლდება, ხოლო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, რომელიც კერძო სკოლის სტატუსს ატარებს, სწავლას 28 სექტემბერს დაიწყებს. განათლების სისტემა ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება. გასული სასწავლო წლის მსგავსად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემა. წიგნები უკვე შემოტანილია და განაწილებულია სკოლების მიხედვით. კვლავ გრძელდება საჯარო სკოლების პირველკლასელებისათვის „ნოუთბუქების“ გადაცემა. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ შარშანდელთან შედარებით წელს გაციცლებით მეტი პირველკლასელი გვყავს. მათი რაოდენობა 145-ს შეადგენს, ეს არის საჯარო სკოლების მონაცემები, აქ არ შედის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მონაცემები. მნიშვნელოვანი სიახლეა სკოლებში სამედიცინო კუთხითაც. გასულ სასწავლო წელს მხოლოდ N2 საჯარო სკოლაში გვყავდა ექიმი. წელს კი ხევისა და ბორითის საჯარო სკოლებსაც დაემატა ექიმის შტატი.

- მიმდინარე წელს ჩატარდა თუ არა რომელიმე საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები?

- ხარაგაულის საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მრავალი პროექტი განხორციელდა. დაბის N2 საჯარო სკოლასთან ოპტიმიზირებულ თეთრაწყაროს სკოლაში მოხდა სახურავისა და კარ-ფანჯრების გამოცვლა. გარემონტდა სპორტული დარბაზი და შენობას გაუკეთდა პანდუსი. ასევე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა მოლითის საჯარო სკოლასთან ოპტიმიზირებულ ნებოძირის დაწყებით სკოლაში. მოხდა ხუნევის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

- როგორც ვიცით, ზვარის საჯარო სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია. რა ღონისძიებების გატარება იგეგმება ამ მიმართულებით?

-დიახ, ზვარის საჯარო სკოლასთან დაკავშირებით პრობლემა გვაქვს. ეს სკოლა არის ე.წ. „წითელ ზოლში“. როგორც ამბობენ, სკოლის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს რკინიგზის ახალმა მაგისტრალმა, თუმცა 2-3 წელია ამის დასაბუთებულ პასუხს ვერავინ გვეუბნება. ვერ ხერხდება სკოლის შენობის დარეგისტრირება, აქედან გამომდინარე, სარემონტო სამუშაოებს ვერ ვახორციელებთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მზადაა, ზვარის სკოლაში ჩაატაროს ინფრასტრუქტურული სამუშაოები მაშინ, თუ შენობა სამინისტროს ბალანსზე იქნება.

- ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება. კიდევ ხომ არ მოხდა ახალი ხაზების დამატება?

- წელს ხარაგაულის საჯარო სკოლებს 12 ახალი ხაზი დაემატა და დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მასშტაბით 900 მოსწავლეს 81 სასკოლო ავტობუსი მოემსახურება. შეძიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. ხარაგაული მაღალმთიანი რეგიონია და ეს ერთგვარი შეღავათია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სკოლისკენ გადაადგილება შორი მანძილიდან უწევთ.

- რას გვეტყვით საზაფხულო ბანაკებთან დაკავშირებით. ვიცით, რომ ხარაგაულმა ამ კუთხით მიმდინარე წელს ძალიან იაქტიურა?

-დია, გვქონდა საზაფხულო ბანაკი, ზვარის ღია კარვების ბანაკი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა. ბანაკში წარმატებული ეტალონელები და ხარაგაულელი მოსწავლეები ისვენებდნენ. ხუთდღიანი საზაფხულო ბანაკი გვქონდა ასევე ბორის სკოლა-პანსიონში. ზოგადად, საბანაკო სისტემა ბავშვებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კომუნიკაციის გაღრმავებას უწყობს ხელს. ერთმანეთს ეცნობიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და სკოლის წარმომადგენლები. ამიტომ ასეთი სახის აქტივობები მნიშვნელოვანია მომავალი თაობისათვის. გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა სასკოლო ოლიმპიადები, რომელებშიც ჩვენმა მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს.

- აბიტურიენტებმა ზაფხულში საკმაოდ დაძაბული პერიოდი გაიარეს. რამდენი აბიტურიენტი გახდა წელს სტუდენტი ხარაგაულიდან ?

- სამწუხაროდ, ოფიციალურ ინფორმაციას ჩვენ ვერ ვფლობთ. მაგრამ ზოგადად გეტყვით, რომ წელს ხარაგაულიდან, სავარაუდოდ, 87 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. ეს არის ძალიან კარგი შედეგი. 11-მა სტუდენტმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი. გამორჩეულად ინტელექტუალური თაობა ჰყავს ხარაგაულს. დარწმუნებული ვარ, ისინი სულ რამდენიმე წელინადში ქვეყნის მართვაში წარმატებით ჩაებმებიან.

- ხომ არ იგეგმება, ახალი სასწავლო წლიდან სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის ანაზღაურების ზრდა?

- დიახ, იგეგმება პედაგოგების ხელფასების ზრდა. პროექტის მიხედვით, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა, ხელფასი 50 ლარის ოდენობით იმ პედაგოგებს მოემატებათ, რომლებიც სრული განაკვეთით (18 საათი) მუშაობენ.

დასასრულს ვიტყვი, რომ ხარაგაულის ყველა საჯარო სკოლა მზად არის 14 სექტემბერს დაიწყოს სასწავლო პროცესი. დიდი მადლიერების გრძნობით მინდა, გამოვხატო ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა ჩვენს სისტემაში. ყველა პროექტის განხორციელებაში გვერდში გვიდგანან და, საჭიროებისამებრ, დახმარებას გვიწევენ. აქვე მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. წარმატებული და ნაყოფიერი სასწავლო წელი ვუსურვო. ჩვენ ყველამ ერთად უნდა აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომლისთვისაც უპირველესი იქნება სამშობლო, მამულიშვილობა, პატრიოტული სულისკვეთება.

ეკა შავიძე

„ჩვენ მხოლოდ წინასაარჩევნოდ არ მივდივართ ხალხთან“

„მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრმა“ მორიგი შეხვედრა მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართა. შეხვედრები მოსახლეობასთან და მათი პრობლემების მოსმენა „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის“ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში 8 სოფელი შედის. სოფლები საკმაოდ მაღალმთიანი და ნაკლებმოსავლიანია. ამიტომ აქაური მოსახლეობა მძიმედ განიცდის ხე-ტყეზე მიუნვდომლობას და სოციალურად დაუცველთა სტატუსის გაუქმებას. საკმაოდ ხალხმრავალ შეხვედრაზე „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის“ თანამშრომელმა, მარიანა ბურჯალიანმა, მოსახლეობას ის სოციალური პროგრამები გააცნო, რომლებიც მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ასევე ადგილობრივებმა მიიღეს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება.

შეხვედრაზე შეკრებილ საზოგადოებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი, გაესაუბრა და გასული 3 წლის განმავლობაში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამები და პროექტები გააცნო.

„ჩვენ ხალხთან მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში არ მივდივართ. ჩვენ მზად ვართ რეალურად არსებული პრობლემების მოსასმენად და შესაძლებლობების ფარგლებში მათ მოსაგვარებლად ხშირად მოვიდეთ თქვენთან. ყველამ კარგად იცით, რა შეღავათს აძლევს მოსახლეობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. ხოლო იმ ბენეფიციარს, რომელსაც საყოველთაო დაზღვევის შემდეგაც ესაჭიროება დამატებითი თანხები და არ აქვს მისი დაფარვის შესაძლებლობა, ადგილობრივი ხელისუფლება უნაზღაურებს. ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი პროგრამაა, რაც მოსახლეობისთვის კეთდება და იგი ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილით ფინანსდება. სექტემბერია, სასწავლო წელი იწყება. მგონი ყველას კარგად ახსოვს, რა თანხებთან იყო დაკავშირებული ოჯახისთვის ბავშვების წიგნებით უზრუნველყოფა. დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები მიზნობრივად იხარჯება და ეს ბატონი კობა ლურსმანაშვილის დამსახურებაა. ჩვენ შევიყვანეთ გზა იქ, სადაც კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა. ეს სოფლებია: ხიდარი, წყალაფორეთი, ფარცხნალი, ბაზალეთი. მუნიციპალიტეტის მასშტაბით რვა ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. მათ შორის- მაღალმთიან სოფლებშიც. თქვენ იცით, უახლოეს მომავალში დაიწყება ძირულა-ფონა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაცია, რომლის დიდ ნაწილშიც ამ სოფლის ცენტრალური გზაც შედის. ეს გარკვეულ შეღავათი იქნება თქვენთვის, სოფლის მოსახლეობისთვის, რაც ასევე კერძო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ვიცით, რომ პრობლემები კიდევ ბევრია, მაგრამ ჩვენ ეტაპობრივად ყველაფრის მოგვარებას შევძლებთ“ - განაცხადა ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

შეხვედრაზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მიმდინარე წლის

გაგრძელება ▶2

ბაბის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა უახლოეს დღეებში მოუგვარდება

მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბაბის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა აქვს. ზაფხულის ცხელი დღეების და გვალვის ფონზე მსგავსი პრობლემა თითქმის მთელი ხარაგაულის მასშტაბით იდგა. პრობლემის მოგვარების გზებზე მუნიციპალიტეტის გამგეობა აქტიურად მუშაობდა. ბაბის მოსახლეობა კი, არასწორი ინფორმაციის გავრცელების მსხვერპლი გახდა. 3 სექტემბერს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი, გია ჭიპაშვილი და გამგებლის წარმომადგენელი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპარტაკ ლაცაბიძე ბაბის მოსახლეობას შეხვდნენ და განუმარტეს, რომ სასმელი წყლის პრობლემა სოფელში უახლოეს მომავალში მოგვარდება. მოსახლეობის პრობლემა უყურადღებოდ არ დარჩენილა. უკვე მზადაა ხარჯთაღრიცხვა და ამ მიმართულებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 6 500 ლარი გამოიყო. მას შემდეგ რაც, სამუშაოების შესყიდვის მიზნით დაიდება ხელშეკრულება, ზემოთხსენებული პრობლემა რამდენიმე დღეში მოგვარდება.

სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტი - "ეტალონი" 10 წლისაა

6 სექტემბერს თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტ „ეტალონის“ 10 წლის იუბილე გაიმართა. საიუბილეო ღონისძიებას საქართველოს მასშტაბით 73 მუნიციპალიტეტიდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ყოფილი ეტალონელები, ახალგაზრდული საკრებულოს წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კულტურის დამსახურებული მოღვაწეები და შემოქმედებითი ჯგუფები. საზეიმო ღონისძიება სოციალურ-საგანმანათლებლო მედია-პროექტ „ეტალონის“ დამაარსებელმა და წამყვანმა, გოჩა ტყეშელაშვილმა, გახსნა. მან მადლობა გადაუხადა ყველა მოწვეულ სტუმარს და მათთან ერთად მიულოცა „ეტალონს“ 10 წლის იუბილე. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის მერი დავით ნარმანია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირები. მოწვეულმა საზოგადოებამ სოციალურ-საგანმანათლებლო მედია-პროექტ „ეტალონის“ საზოგადოებრივ არხზე დაბრუნებას ერთხმად დაუჭირა მხარი.საზეიმო ღონისძიებაზე სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსული მომღერლები, მოცეკვავეები, ხალხური და ფოლკლორული ანსამბლები. ხარაგაულიც ერთ-ერთი გამორჩეული ნომრით წარდგა მსმენელთა წინაშე. ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „უბისმა“ მომღერებლებთან- თიკო ლურსმანაშვილთან და თიკო ჯანიაშვილთან- ერთად შეასრულა სიმღერა „ოდა ხარაგაულს“ (ტექსტის ავტორი გიორგი ჩოგოვაძე, მუსიკის ავტორი დალი მერაბიშვილი), რასაც მაყურებელთა მხურვალე ტაში და ოვაციები გამოიწვია.

გოჩა ტყეშელაშვილმა საზოგადოებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ,,ეტალონის“ 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მისალოცი სიტყვები გააცნო.

ეკა შავიძე

„ჩვენ მხოლოდ წინასაარჩევნოდ არ მივდივართ ხალხთან“

▶1 ბბ.

ბიუჯეტის შესრულებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და თვითმმართველობა კოორდინირებულად და შეთანხმებულად მუშაობს იმისთვის, რომ გამოიყოს პრიორიტეტები, რათა მიზნობრივად და გონივრულად მოხდეს ბიუჯეტის განკარგვა.

,,როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ხარაგაულს ძალიან მწირი ბიუჯეტი ჰქონდა და ჩემი შეფასებით რაც იყო, ისიც არაგონივრულად იხარჯებოდა. დარწმუნებული ვარ, ამას მოსახლეობაც ხედავდა. იყო გარკვეული თანხები, რომლებიც აუთვისებელი რჩებოდა და უკან ბრუნდებოდა ბიუჯეტში. მაგრამ ჩვენ ვიზრუნეთ იმაზე, რომ თანხები გაზრდილიყო და ამ მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან პრაქტიკულად არ ფინანსდებოდა არც ერთი პროექტი. დღეს სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ფინანსდება, მაგრამ იმის შესაძლებლობა და ფუფუნება ნამდვილად არ გვაქვს, რომ ამ ეტაპზე ყველაფერი გავაკეთოთ. შეუძლებელია, ერთ ან ორ წელიწადში ყველა სოფელში, ყველა უბანში მოწესრიგდეს წყლის, გზის, გაზის პრობლემა. უნდა შეირჩეს პრიორიტეტები აუცილებლობიდან გამომდინარე და ყველაფერ ამაში თქვენი აქტიური ჩართულობაა საჭირო.“

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილების უფროსი, გიორგი ჭიპაშვილი, გამგებლის წარმომადგენელი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპარტაკ ლაცაბიძე, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ ტალახაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი, შმაგი ხიჯაკაძე, სათნოების სახლის დირექტორი გიორგი ჩიჩილიძე და ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსი ვლადიმერ მანჯავიძე.

სოციალური დახმარების პროგრამაში ცვლილებების შეტანამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში. მოსახლეობას არაერთი კითხვა გაუჩნდა. „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის“ დირექტორის, ეკა შავიძის, ინიციატივით მოლითის მოსახლეობასთან შეხვედრას ხარაგაულის სოციალური სააგენტოს მომსახურების მთავარი აგენტი, თამილა მაჭავარიანი ესწრებოდა. ქალბატონმა თამილამ ჩაინიშნა რამდენიმე ადამიანის მონაცემები, რომლებიც მართლა საჭიროებენ გადამოწმებას და დაჰპირდა, რომ აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას მათ შენიშვნებს. შეხვედრაზე გამოიკვეთა ერთი მრავალშვილიანი, უკიდურესად გაჭირვებული, სოფელ დეისში მცხოვრები ოჯახი, რომელსაც სათნოების სახლის დირექტორი დაჰპირდა, რომ უახლოეს დღეებში ერთჯერადი დახმარების სახით საკვები პრუდუქტებით მოამარაგებდა.

ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა, შმაგი ხიჯაკაძემ, მოლითის მაცხოვრებლებს ის უფასო სახელმწიფო პროგრამები გააცნო, რითაც ხარაგაულის მოსახლეობასაც შეუძლია ისარგებლოს.

ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსმა, ვლადიმერ მანჯავიძემ, შეკრებილებს განუმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა და ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად მუშაობენ, რათა მოსახლეობას სამასალე ხე-ტყეზე ხელი მიუწვდებოდეს.

საერთო ჯამში, მოლითის თემის წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით კმაყოფილები არიან. ისინი მოუთმელად ელოდებიან ძირულა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციას, სადაც მათი სოფლის ცენტრალური გზაცაა გათვალისწინებული. აღნიშნული პროექტი 2016 წლის დასაწყისში დაიწყება.

თამარ მაღრაძე

ინგა მაღრაძემ დეპუტატებს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა

7 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, დეპუტატებს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ, საკითხთან დაკავშირებით განცხადებები და შეფასებები დეპუტატებმა, კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებმა გააკეთეს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, აღნიშნა, რომ ანგარიშთან დაკავშირებით მას ბევრი კითხვა ჰქონდა, თუმცა ამომწურავი პასუხები ვერ მიიღო. გარდა ამისა, ვარლამ ჭიპაშვილი, ტრენინგების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ ყველა დეპუტატს თანაბრად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სხვადასხვა სფეროს მიხედვით ტრენინგებში მიიღონ მონაწილეობა. ინგა მაღრაძემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა - „თუ ფინანსური რესურსი მოგვცემს ამის საშუალებას, მზად ვარ, დეპუტატებს მივცე შესაძლებლობა, ჩაერთონ სხვადასხვა ტრენინგებში.“

საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში კრიტიკულად შეაფასა დეპუტატმა გოგი ლაცაბიძემ. „ბიუჯეტი ყველა ადმინისტრაციულ ერთეულზე უფრო თანაბრად და ეფექტურად უნდა ნაწილდებოდეს. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მოსახლეობას არ აინტერესებს ჩვენი მუშაობა, რაც იმით დასტურდება, რომ ანგარიშთან დაკავშირებით მათი მხრიდან არანაირი შენიშვნა არ გამოთქმულა.“

საბოლო ჯამში დეპუტატების უმრავლესობამ საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასა.

ამავე სხდომაზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა მოხსენება. აღნიშნული საკითხის განხილვამ დეპუტატებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. თორნიკე ავალიშვილმა არასწორად განაწილებული ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა. იგი ასევე შეეხო ტენდერების თემას და განაცხადა: ,,ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ჩვენი ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებიდან არც ერთი არ იქნა გათვალისწინებული. ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა უხარისხოდ კეთდება. არ ცხადდება ტენდერები და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხდება სხვადახვა პროექტის განხორციელება.“

თორნიკე ავალიშვილის ამ განცხადებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, უპასუხა და სხდომაზე იმ პროექტების აღმნუსხველი ფოტომასალა წარმოადგინა, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაკეთდა და რომელიც დღეს უკვე ამორტიზებულია.

თორნიკე ავალიშვილის გამგებლად ყოფნის პერიოდში უხარისხოდ გაკეთებული პროექტების შესახებ ისაუბრა ასევე, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ(ტატო) თავზარაშვილმა და აღნიშნა - ,,ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავიდან მოხდა რიგი პროექტების რეაბილიტაცია, ცოტა უხერხულად მიმაჩნია მათი მხრიდან უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე საუბარი“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კი თორნიკე ავალიშვილს მისი მმართველობის პერიოდში გაცემული პრემიების შესახებ დოკუმენტები წარუდგინა და კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ როდის ხდებოდა ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვა.

საკრებულოს სხდომაზე ასევე იმსჯელეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევში მცხოვრებ ალექსი ლომიძისათვის ფინანსური დახმარების შესახებ. დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ ოჯახს უახლოეს მომავალში დაეხმარებიან.

მარიანა ბურჯალიანი

„ქართული ოცნება - ახალგაზრდული ფრთის“ ხარაგაულელმა წარმომადგენლებმა საქველმოქმედო ღონისძიება გამართეს

24 აგვისტოს პარტია „ქართული ოცნება - ახალგაზრდული ფრთის“ (თავმჯდომარე თიკო ლურსმანაშვილი) ხარაგაულელმა ნარმომადგენლებმა დაბის კინოთეატრში თინათინ გლუნჩაძის დასახმარებლად საქველმოქმედო ღონისძიება გამართეს. ამავე დღეს კინოთეატრში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის XII კლასის მოსწავლის ნინო ჭიპაშვილის და ძველი ხარაგაულის ამსახველი ნახატების გამოფენა მოეწყო.

საქველმოქმედო ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი მანანა ბარბაქაძე, ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე პაატა გოგოლაძე.

აქცია-კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. სცენაზე ცეკვითა და სიმღერით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხარაგაულელი ნიჭიერი თაობები.

როგორც ჩვენთან საუბარში „ქართული ოცნება - ახალგაზრდული ფრთის“ ხარაგაულის ორგანიზაციის თავმჯდომარე აღნიშნავს, საქველმოქმედო ფონდში შემოსული თანხით ქალბატონი თინათინისთვის ტელევიზორს შეიძენენ. მომავალში კი ასეთი ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებებს კვლავ ჩაატარებენ.

საქველმოქმედო ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ ხარაგაულის კულტურის ცენტრი, ისტორიული მუზეუმი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი.

ეკა შავიძე

გზის შეკეთება იწყება

მარიამწყარო-ღორეშის დამაკავშირებელი 8 კილომეტრიანი გზის შეკეთება იწყება. სამუშაოებისათვის 120 ათასი ლარი რეგიონალური განვითარების ფონდიდანაა გამოყოფილი. გზაზე გაკეთდება სანიაღვრე არხებიც. მარიამწყარო-ღორეშის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯერ კიდევ მარტის თვეში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ინერტული მასალისთვის კარიერის გასაჭრელად საჭირო იყო ლიცენზია გარემოს დაცვის სამინისტროდან, ამ დრომდე ვერ მოხერხდა სამუშაოების დაწყება. სულ რამდენიმე დღის წინ, ცნობილი გახდა რომ ლიცენზია გაიცა. 31 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, პაატა გოგოლაძე, გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილების უფროსი, გიორგი ჭიპაშვილი და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი ღორეშის და მარიამწყაროს მოსახლეობას პირადად შეხვდნენ და აღნიშნულის შესახებ ამცნეს. მოსახლეობას განუმარტეს ისიც, თუ რატომ შეფერხდა ამდენ ხანს აღნიშნულ გზაზე სამუშაოების დაწყება.

გამგებლის პირველი მოადგილის პაატა გოგოლაძის ინფორმაციით გზაზე მოხრეშვითი სამუშოები რამდენიმე დღეში უკვე დაიწყება.

გედსამანიის მოსახლეობას აღგილობრივი ხელისუფლების წარმომაღგენლები შეხვდნენ

ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის მაღალმთიანი სოფელი გედსამანია საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულია. სოფელს წლებია უგზოობის პრობლემა აქვს. არის უბნები, სადაც სამანქანო გზა არასდროს ყოფილა, რაც გაუსაძლის პირობებს უქმნის იქ მაცხოვრებელ მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მომავალ წელს გედსამანიაში გზა შეაკეთოს. ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან, სოფლის ყველაზე მაღალ წერტილამდე დაახლოებით 8 კილომეტრიანი გზაა. სავარაუდოდ რეგიონალური განვითარების ფონდიდან ერთ სოფელში გზის შესაკეთებლად 400 000-დან 500 000 ლარამდე თანხა გამოიყოფა. ამ თემაზე სასაუბროდ და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების მიზნით, (როგორ სჯობს, რა ურჩევნია სოფელს), გედსამანიის მოსახლეობას ამავე თემის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე, გამგებლის წარმომადგენელი კახა ლომიძე, საღანძილის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე და ხარაგაულის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი შეხვდნენ. ვარლამ ჭიპაშვილმა მოსახლეობას განუმარტა, - „იმ თანხით რაც გედსამანიისთვის გამოიყოფა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 2 კმ გზის მოასფალტება, რაც გამოიწვევს იმას, რომ სოფლის უმთავრეს პრობლემად ისევ უგზოობაა დარჩება“. მოსახლეობის აზრი ორად გაიყო. ზოგნი ამბობდნენ ასფალტი სჯობს, ზოგნი მთლიანი გზის გაკეთებას ითხოვდნენ. „ჩვენ რა ვქნათ, სადაც ასფალტი არ ეყოფა, ამიტომ სჯობს დავხრეშოთ, დავგრუნტოთ, სანიაღვრეები გავაკეთოთ“. ქალბატონმა ლენა აბაშიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა - „ვიმსჯელეთ ყველამ ერთად და შევჯერდით იმაზე, რომ უმჯობესი იქნება გამოყოფილი თანხით მთლიანად გაკეთდეს 8 კილომეტრიანი გზა, სანიაღვრეებით და ასევე მოეწყოს შიდა საუბნო გზები. მხოლოდ ეს იქნება მოხრეშვით და შემდეგ დაგრუნტვით. მოსახლეობას შეუძლია განახორციელოს მონიტორინგი მუშაობის პროცესში, რათა გზა ხარისხიანად გაკეთდეს“. საბოლოოდ მოსახლეობა შეთანხმდა და 2016 წლის გაზაფხულზე გედსამანიაში ახალი გზა იქნება. გზა მოიხრეშება და დაიგრუნტება.

თეა ბერიძე

მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

... და რეკვდა ლოლიეშვილში ნიჭიერების და სულიერი სიდიადის „ზარი“ ...

კარგა ხანია, ხარაგაულის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელთან და თბილისი–სენაკი- ლესელიძის ავტომაგისტრალზე განთავსებული ბანერები აუწყებდა ყველას, რომ ღორეშის მემორიალური მუზეუმის (დირექტორი ნინო ჯიბუტი) ტერიტორიაზე ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“ (დამაარსებელი იზა ვეფხვაძე) 29–30 აგვისტოს თავის საიუბილეო თარიღს – ათი წლისთავს – აღნიშნავდა და იწვევდა ლიტარატურაში შემოქმედებითი სულით უფლისგან მადლმოსილ მონაწილეებს...

უამრავი იყო მსურველთა რაოდენობა, თუმცა მათგან მხოლოდ 36 შეირჩა, ისინი, რომლებიც „ოდეონ 10–ში“ მონაწილეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ...

მე სტატისტიკოსი არა ვარ. თუმცა რა სტატისტიკა სჭირდება ჩვეულებრივი მოქალაქის მიერ იმ სისხლსავსე დღეების გააზრებას, რომლებითაც ნათლადაა ამეტყველებული ის სიყვარული, ის ნიჭი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნების, მუსიკის, ცეკვის, სპორტისა თუ ნებისმიერ სხვა სფეროში აისახება. ყოველივე ეს კი გამოვლინებაა იმერეთის ამ უმშვენიერესი რაიონის მაღალინტელექტუალური საზოგადოების ყოფისა.

ამას წინათ ერთ–ერთ ჩემს ახლობელს შევხვდი, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით კულტურის სტატისტიკას ემსახურება. მან დიდი აღფრთოვანებით აღნიშნა, რომ ინტელექტუალურ ღონისძიებათა ასეთი პოტენციალი, როგორითაც თქვენი რაიონია წარმოდგენილი, სხვაგან თითქმის არსადაა. ბუნებრივია, როცა ასეთ შეფასებას ისმენ, გული სიხარულთან შერწყმული სიამაყით გევსება...

ამგვარი „სიამაყის საბურველში“ ვიყავი გახვეული ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ საიუბილეო დღეებში და კვლავ ამ „საბურველიდან“ ვწერ აღნიშნულ სტრიქონებსაც...

ღორეშში კიდევ ერთხელ წარმოჩინდა იმერული სტუმარმასპინძლობის ხიბლი გამრჯე მარჯვენით ნასათუთევ მუზეუმის ეზო – გარემოში. ვის შეიძლება დაავიწყდეს სამუსიკო სკოლის პედაგოგი დალი მერაბიშვილი საიუბილეო დღეთა „დიასახლისის“ ამპლუაში, ვის დაავიწყდება თონესთან და „სამზარეულოსთან“ მოფუსფუსე ქალბატონები უგემრიელეს თონეულებს, ცხელ–ცხელ ყყინტ სიმინდს, გოგრასა და ფელამუშს რომ სთავაზობდნენ მოწვეულებს და არც საიუბილეო ტორტის (ავტორი ქალბატონი მანანა ტაბაშიძე) გემო დაგვტოვებს დიდხანს...

მეხსიერებიდან არ ამოიშლება ახალი სიცოცხლის სიმბოლო– „ოდეონ 10–ის“ ყველაზე პატარა სახე – ხუთი თვის ანა ჭუმბურიძე, რომელმაც კონკურსანტების მსგავსად შესანიშნავად „მოირგო“ ისრაელიდან ბაბუ პაატა იოსებაშვილისაგან გამოგზავნილი მაისური...

საერთო ჯამში კი ყველა ერთხმად გამოხატავდა გულწრფელ მადლიერებას შემოქმედებითი მუშაობისათვის ორგანიზატორთა და მხარდამჭერთა მიერ შექმნილ „ოაზისში“ გატარებული დღეებისა და წუთების გამო...

კონკურსისადმი ინტერესი გამოიხატა იმერეთის სამხარეო რწმუნებულის ვიცე–გუბერნატორების პაატა ნადირაძისა და გიორგი ჭილვარიას, ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ნოდარ ებანოიძის, მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილის, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძის და სხვათა სტუმრობით.

კონკურსანტებს მიესალმა მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი:

– „ოდეონი“ თავის მეათე წლისთავს ზეიმობს. ძალიან მსიამოვნებს, რომ ხარაგაულში დაიბადა ასეთი წარმატებული ლიტერატურული პროექტი. მის ორგანიზატორებს, იდეის ავტორს ქალბატონ იზა ვეფხვაძეს მინდა, მადლობა გადავუხადო და ზოგადად ვთქვა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში. წარმატებას ვუსურვებ კონკურსის ყველა მონაწილეს.“

***

ჟიური და ისევ ჟიური...

კონკურსის მონაწილეთა პასუხისმგებლობას აძლიერებდა ის ფაქტი, რომ მათი შემოქმედებითი ნაყოფის შემფასებელი საკმაოდ კომპეტენტური ჟიური იყო შემდეგი შემადგენლობით: **როსტომ ჩხეიძე** – ჟიურის თავმჯდომარე, მწერალი, მკვლევარი, ლიტერატურის კრიტიკოსი; ვანო ჯაფარიძე – გადაცემა „საგანძურის“ ავტორი და წამყვანი; ელგუჯა თავბერიძე – მწერალი; ნინო ვახანია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლიტერატურის კრიტიკოსი; მაია ჯალიაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლიტერატურის კრიტიკოსი; ნანა კუცია – ლიტერატურის კრიტიკოსი; ლია კუხიანიძე – ლიტერატურის კრიტიკოსი.

როსტომ ჩხეიძე – „უნდა ითქვას, რომ კონკურსის საერთო დონე გასულ წელს იყო ძალიან კარგი. ბუნებრივია, ასე იქნება წელსაც. თამასა უკვე იმ სიმაღლეზეა აწეული, რომ ის დაბლა არ დაეშვება. ამჯერადაც სახელდახელოდ, ექსპრომტად, შეიქმნება ნამდვილი მწერლური ღირებულება.“

***

„დედა ნახე, მამა ნახე...“

ძვირფასო მკითხველო!

ჟიურის თავმჯდომარის, ბატონ როსტომ ჩხეიძის პიროვნებას, მის მამულიშვილურ საქმეებს, ეპითეტებით მოვარაყება არ სჭირდება. მაგრამ... თავს უფლებას ვაძლევ, რამდენიმე წინადადებით გამოვხატო ჩემი მოწიწება და პატივისცემა მის მიმართ.

როცა ბატონ როსტომ ჩხეიძეს ვხვდები პირისპირ თუ ტელეეკრანთან, მაშინვე ჩემი სტუდენტობა და ჩემი უსაყვარლესი ლექტორი, დიდი მწერალი და მამულიშვილი ოთარ ჩხეიძე მაგონდება, ბატონი როსტომის მამა, რომელიც საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს გვიკითხავდა. ის გვაოცებდა თავისი ერუდიციით, თხრობის განსაკუთრებული სტილით. მონუსხულები ვუსმენდით მის ყოველ ლექციას და მისეული ხედვით „ვეპატრონებოდით“ სტუდენტები: გოეთეს, შექსპირის, ბალზაკის, შილერის, ჰაინეს, ჰიუგოს და უამრავ სხვა ტალანტთა შემოქმედებით სამყაროს...

ბატონი ოთარ ჩხეიძის რომანები: „ტინის ხიდი“, „ცხრაწყარო“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „მეჩეჩი“, „აღმართ-დაღმართი“, „კვერნაქი“, „ნაკრძალი“, „ლანდები“, „ვენეციური ჭაღი“, „მთაგრეხილი“, „ამაღლება“, „2001 წელი“, „ბერმუდის სამკუთხედი“... პიესები, მოთხობების უსაჩინოესი კრებული „ჩემი სოფლის ეტიუდები“ და უამრავი სხვა, ჩვენი რეალური ცხოვრების ობიექტური ანარეკლია.

ბატონი როსტომი იმ კაცის შვილია, თავის საქმიანობაში გამგრძელებელია იმ სულისა, რომელმაც უმძიმეს 90-იან წლებში რომანი - მატიანე „არტისტული გადატრიალება“ გამოაქვეყნა და რომლის პერსონაჟებიც შეუფარავად, თავიანთი ყოფითი შუქ-ჩრდილებით, ნამდვილი გვარ - სახელებით წარუდგინა მკითხველს...

მაპატიეთ, ბატონო როსტომ, ამ გადახვევისათვის... მე ამით ერთხელ კიდევ ჩემი დიდი მოძღვრის, პირუთვნელი მამულიშვილის, ოთარ ჩხეიძის, წმინდა სულს, მის წმინდა აჩრდილს ვეფერები...

და სრული რწმენა მაქვს იმისა, რომ თქვენი თავმჯდომარეობით, ყოველმხრივ აწონილ - გააზრებული შეფასებებით, კომპეტენტური ჟიური ნამდვილად ღირსეულებს გამოავლენს!

***

„სიმონიკას ზარები“...

–„თემა „ზარი“ ჭეშმარიტი თვალთახედვით და დიდი გონიერებით იყო შერჩეული. მისი მრავლმხრივი მიმართულება მუშაობის ფართო ორიენტირს გვიქმნიდა. მქონდა საოცარი განწყობა დავწერე პროზაული თხზულება რეალურ ამბავზე, რომელიც მივუძღვენი ჩემს ბაბუას, 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლს, სიმონ ბუაჩიძეს და მას სათაურად „სიმონიკას ზარები“ შევურჩიე“... აღნიშნა კონკურსის მონაწილე ზეინაბ ბუაჩიძემ.

***

კეთილი საქმის მოთავეს მუდამ მფარველობს ზეციური ძალა. უფლის მადლმა მხარდამჭერები უხვად მოუვლინა „ოდეონ 10-ს“: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; ქალაქ თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრი, ღორეშის მემორიალური მუზეუმი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახური (დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი), ისრაელიდან მხატვარ - დიზაინერი მაქს შავიტი და პაატა იოსებაშვილი, სტრასბურგში მოღვაწე ხარაგაულელი ნინო კიკნაძე, გადაცემა „ჩვენი საგანძური“ - ვანო ჯაფარიძე; ჩოხოსან რაინდთა დასი - გოგი დოლიძე, „ხაზის რადიო„, „პიკის საათი„, კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი„, ლიტერატურული ფესტივალი „გარა„, სასაუზმე „მალხაზი“- მალხაზ სახვაძე, ქველმოქმედი ფრიდონ მაღრაძე, ლილი კრიხელი, შოთა წვენიაშვილი, ლეილა ნოდია. ჭეშმარიტი ხარაგაულელები: ბაქარ დევდარიანი, პავლე კიკალიშვილი, ბესიკ სახვაძე, გიორგი მუხურაძე.

კონკურსის მონაწილეებს წარმატება უსურვეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს: ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატამა ნოდარ ებანოიძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძემ, ხარაგაულის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორმა და ამავე სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ლენა აბაშიძემ, ღორეშის მაჟორიტარმა დეპუტატმა თემურ კუპრაძემ, გამგებლის წარმომადგენელმა ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში იური მჭედლიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით კიკნაძემ, ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორმა ჰამლეტ ბერაძემ, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდიუსერმა ეკა ტალახაძემ.

კონკურსანტებისათვის გათვალისწინებულ საპრიზო ფონდის გარდა (პირველი ადგილი 500 ლარი, მეორე - 300 ლარი, მესამე - 200 ლარი) ბატონმა პავლე ჯიბუტმა 500 ლარი გაიღო, რომლითაც დაჯილდოვდება დამატებით გამოვლენილი 5 საუკეთესო ნაწარმოების ავტორი (თითოეულს 100 ლარი), ხოლო ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი პირველ ადგილზე გამსვლელი კონკურსანტის ფონდს პირადად უმატებს 100 ლარს.

***

„უსაფლავო“ ბაბუა-ბებიის შთამომავალი...

ვიცოდი, რომ ბატონ პავლე ჯიბუტს, რომელიც კანონიერი მფლობელია იმ სამემკვიდრეო მიწისა, რომელზეც ღორეშის მემორიალური მუზეუმია განთავსებული, საკუთარ პიროვნებაზე საუბარი არ უყვარს და სამომავლოდ ჩაფიქრებული იდეების წინასწარ აფიშირებასაც ერიდება ამ პიროვნების მიმართ კრძალვა და ინტერესი კი ძალიან დიდი მქონდა, რადგან მან თავისი კეთილი ხელი სოფელში უკვე ბევრ რამეს დაატყო. ამჯერადაც უკვე უშურველად, უანგაროდ დაუდგა გვერდით ნიჭიერებას და მესამედ უმასპინძლა კონკურს „ოდეონს“...

ბატონი პავლე ხომ „უსაფლავო“ ბაბუა-ბებიის - 1937 წელს დახვრეტილი პაპულია ორჯონიკიძისა და ასევე 1938 წელს ხელისუფლებისაგან სიცოცხლეწართმეული ნინა მაჭავარიანის ღვიძლი შვილიშვილია. მსმენოდა, რომ მას უამრავი კეთილი იდეა აქვს ჩაფიქრებული თავისი საყვარელი სოფლის მოსახლეობის, ჩვენი მომავალი თაობისა და საქართველოს ხვალინდელი დღის საკეთილდღეოდ.

-„როგორც „ხალხის მტრის“ მემკვიდრეებს, აღნიშნავს ბატონი პავლე - ერთ დროს ღორეშაში ჩამოსვლის უფლებაც არ გვქონდა... მწვავე ტკივილია დასადგურებული ჩემს გულში, რომ იმ ავბედითი 30-იანი წლების რეპრესიებით არ შემიძლია, ჩემთვის საყვარელი ადამიანების საფლავებს მივეახლო და ხსოვნის სანთელი ავუნთო... ამიტომ ვცდილობ, რომ მათი არარსებული საფლავები „მოვინახულო“ იმ სასიკეთო საქმეებით, რომლებიც ჩემს სულშია ჩაჭედილი და რომლებსაც აუცილებლად განვახორციელებ უახლოეს მომავალში.

მინდა, ჩემი ბაბუის, პავლე (პაპულია) ორჯონიკიძის „სიცოცხლის გაგრძელება“ ვითავო. მე ხომ მისი სეხნია ვარ, პავლე დავარქვი ჩემს ვაჟკაცსაც, პავლე ჰქვია ბიძაჩემის, გენერალ-მაიორ გივი ორჯონიკიძის, შვილთაშვილს, ხოლო ბებიის, ნინა მაჭავარიანის, ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს საახლობლოში დაბადებულ გოგონებს ნინას ვარქმევთ...

თქვენი თხოვნით, ამჯერად უახლოეს მიზნებზე შევჩერდები: მინდა, აღვადგინო ჩემი ბაბუის ხელით გაკეთებული „პაპულიას წყარო“, რომელიც ღორეშელთათვის ნამდვილი „სიცოცხლის ელექსირი“ იყო. ამჟამად ის სრულად იავარქმნილია. ეს ჩანაფიქრი მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, გავუზიარე. მწამს მისი, როგორც პატრიოტული სულის მატარებელი და სასიკეთო საქმეების ჭეშმარიტი თავკაცისა. მაქვს სრული რწმენა, რომ ჩემი ჩანაფიქრი მისი დახმარებით განხორციელდება.

მინდა, ღორეშის მემორიალურ მუზეუმს სტატუსი შეეცვალოს და ის 30-იანი წლების რეპრესირებულთა მუზეუმი გახდეს. ვაპირებ მუზეუმის ეზოში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციას - დარბაზით, სცენით, ფართ ეკრანით, რომ აქ მასშტაბური კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებები გაიმართოს, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სრულად გაითავისოს რეალური წარსული, რათა შეცდომები და ტრაგედიები აღარ განმეორდეს...“

ბატონო პავლე!

უფალმა მოგცეთ ძალა, ენერგია და ჯანმრთელობა თქვენი კეთილი მიზნების აღსასრულებლად, თქვენი „ადგილის დედის“ - ღორეშის, ხარაგაულის, ხარაგაულელებისა და სრულიად საქართველოს ხვალინდელი დღის საკეთილდღეოდ!

***

გაიხარეთ და იამაყეთ!

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრისა და ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ დამაარსებლის ქალბატონ იზა ვეფხვაძის თანადგომისათვის, როგორც იზას მასწავლებელმა, ინტერნეტით პატარა სამადლობელი წერილი გავგზავნე მხატვარ-დიზაინერ ბატონ მაქს შავიტსა და ბატონ პაატა იოსებაშვილის მისამართით. საპასუხოდ ასეთი თბილი სიტყვები მივიღე:

„ქალბატონო მერი!

მეც ერთი პატარა პედაგოგი ვარ თავისებურად, 100-ზე მეტი მოწაფე მყავს გამოზრდილი ბოლო რამდენიმე წელიწადში. საამაყო შეგირდისაგან მიღებული შემოქმედებითი ნაყოფი პედაგოგისათვის უდიდესი ბედნიერებაა!

იზა ვეფხვაძისნაირს რომ გამოზრდი, ჩათვალე, ტყუილად არ გიცხოვრია. გაიხარეთ და იამაყეთ ამ დიდი შედეგით! ჩვენ კი, შეძლებისდაგვარად, ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება, ქართველი ხალხის გვერდით ვიქნებით, განსაკუთრებით კი იზა ვეფხვაძისა და მისი დიდი მოღვაწეობის გვერდით.

და დარმუნებული ვარ, ჩემი მეგობარი, ბატონი პაატა, ამ ჩემს ყოველ სიტყვაზე დამეთანხმება.“

პატივისცემით, მეირ შავიტ მაქსი ისრაელიდან.

აქვეა პაატა იოსებაშვილის გამოხმაურებაც:

„ბატონო მეირ, როგორც ებრაულ თქმულებაში ამბობენ, „ ყოველი სიტყვა ბრილიანტია“, ასე რომ, მარტო კი არ გეთანხმებით, ქედსაც ვუხრი თქვენს გულიდან ამოღებულ ჭეშმარიტ სიტყვებს.

თუ არ გამიბრაზდებით, მარტო ერთ რამეში გაგეჯიბრებით - უნიჭიერესი და უსაყვარლესი ქალბატონი იზას სიყვარულში!“

***

ამ უმშვენიერესი კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად (იზა ვეფხვაძე, დალი მერაბიშვილი, ვანო ჭიპაშვილი) ამჯერადაც მის წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ლიტერატურული თეატრის მეგობრებმა: ჯაბა ფცქიალაძემ, ლევან ნანიტაშვილმა, გიორგი მუხურაძემ, ანსამბლმა „უბისმა“, სოლისტმა გოგონებმა თიკო ჯანიაშვილმა და თიკო ლურსმანაშვილმა. „ოდეონ 10-ის“ დახურვის ბოლო წუთებში არნახული ძალით აჟღერდა დალი მერაბიშვილის „ოდა ხარაგაულს“ და „ოდეონის ჰიმნი“.

... ნელ-ნელა დაეშვა „ოდეონის“ დროშა, დაეშვა, რომ ერთი წლის შემდეგ უფრო ფართო სივრცეების გადასაწვდომად აღიმართოს...

ჩამოვლენ ემიგრანტები

კონკურს „ოდეონს“ უკვე მთელი საქართველო იცნობს და ქალბატონ იზა ვეფხვაძეს აქვს უამრავი შემოთავაზება აჭარიდან, კახეთიდან, ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, რომ მომავალ წელს „ოდეონს“ მათ უმასპინძლონ. თუმც, როგორც ქალბატონი იზა აღნიშნავს - ღორეშის „ღალატი“ ნამდვილად შეუძლებელია. „ოდეონ 11“ ისევ ღორეშაში გაიმართება უფრო ვრცელი არეალით. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქართველი ემიგრანტები: ისრაელიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან...

***

კონკურს „ოდეონ 10-ის“ შედეგებით დაინტერესებულთ ვაცნობებთ, რომ 10 სექტემბერს 14:30 წთ-ზე მედიაკავშირ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ჟიურის თავმჯდომარე როსტომ ჩხეიძე ჟიურის რამდენიმე წევრთან და იზა ვეფხვაძესთან ერთად გაგვაცნობს კონკურსის შედეგებს. 11 სექტემბერს კი 10:10 წთ-ზე საქართველოს მთავარ რადიოში ეკა ტალახაძის საავტორო გადაცემა „ხაზის რადიო“ შეგვახვედრებს გამარჯვებულ კონკურსანტებს, კონკურსის ორგანიზატორ იზა ვეფხვაძეს და მხატვარ-დიზაინერ მაქს შავიტს, რომელიც მისი სტუდიის მიერ დამზადებულ სპეციალურ პრიზს გადასცემს პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტს.

მერი გიორგიძე

ხარაგაულის კინოთეატრში მხატვარ დავით გურგენიძის გამოფენა მოეწყო

24 - 28 აგვისტოს ხარაგაულის კინოთეატრი ახალგაზრდა მხატვრის დავით გურგენიძის გამოფენას მასპინძლობდა. დავითი 13 წლის თვითნასწავლი მხატვარია. ფესვები ხარაგაულიდან აქვს და საკუთარი ნახატების გამოფენას ხარაგაულში უკვე მეორე წელია მართავს.

„4 წლის ასაკიდან დავიწყე ხატვა, როგორც ასეთი პერსონალური მასწავლებელი არ მყოლია. ჩემი მრჩეველიც და მასწავლებელიც მხატვარი ქეთევან ფერაძეა. რვა პერსონალური გამოფენა მქონდა თბილისში, რომელსაც ყოველი წლის დეკემბერში, ჩემი დაბადების დღეზე პიონერთა სასახლეში ვაწყობ. ამ დროისთვის მხოლოდ ერთი გამოფენა-გაყიდვა მქონდა, რომელიც საქველმოქმედო ხასიათის იყო და შემოსული თანხა, ბავშვთა სახლში გადაირიცხა“- გვეუბნება დავით გურგენიძე.

„ჩემს ყველა ნახატზე ჩემეული ახსნა მაქვს - აღნიშნავს დავითი და ნახატზე „გედი“ გვეუბნება - „მას მთელი მსოფლიო მოჰყავს, სადაც მდიდრებიც არიან და ღარიბებიც...“ დავითის საყვარელი მხატვარი მექსიკელი ფრიდა კალოა. მომავალში სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებას აპირებს და ფიქრობს, რომ პროფესია უკვე აქვს.“

სოფლის პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით ხორციელდება

მიმდინარე წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის მხარდამჭერი პროექტების განსახორციელებლად 22 000 ლარი გამოიყო. აღნიშნულ თანხას ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაახლოებით 10 000 ლარი დაემატა და წყალაფორეთის თემში შემავალ რამდენიმე სოფელში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. სოფელ წყალაფორეთში

ახლად მოწყობილი მგზავრთა მოსაცდელი

საბავშვო ბაღის, ბუდიანეთისა და გაბეხაძეების საუბნო გზები შეკეთდა და მოიხრეშა. აღნიშნული პროექტისთვის, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში 5000 ლარი გამოიყო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი 2500 ლარი დაიხარჯა. აქვე მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი, რომლის ღირებულებამაც 1000 ლარი შეადგინა.

წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ხონში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრალური და საუბნო გზები შეკეთდა, რისთვისაც 4 000 ლარი დაიხარჯა. საუბნო გზები შეკეთდა, ასევე სოფელ ლახუნდარაში. აღნიშნული პროექტისთვის, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში 12 300 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 500 ლარი გამოიყო. ამავე სოფელში, კოვზირიძეების უბანში წისქვილისათვის საფქვავი მიქსერი შეიძინეს, რომლის საერთო ღირებულებამ 700 ლარი შეადგინა.

ამ დროისთვის სოფელ წყალაფორეთსა და პატარა ვარძიაში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა. პროექტის ღირებულება 5 000 ლარს შეადგენს. სამუშაოებს „ხარაგაულკეთილმოწყობა“ (დირექტორი მიხეილ ჭიპაშვილი) შეასრულებს.

,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები სოფელ ხიდარშიც. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა, 22 000 ლარი გასულ წელს აშენებული სარიტუალო სახლის შიდა რემონტს მოხმარდა. სარემონტო სამუშაოები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზუკამ“ შეასრულა, რაშიც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული. შენობის შიგნით მოხდა იატაკის მოპირკეთება, ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრები. მოეწყო სამზარეულო და მოგვარდა წყლის პრობლემა. ხიდრის სარიტუალო სახლი 300 კაცზეა გათვლილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში კვლავ მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

თეა ბერიძე

მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ცაშვილოთაშვილო ცაქმე გაყოთლა

ეს იყო ორი წლის წინ, მე ომარ ბურჯანაძემ, რომან შარიქაძემ და ჯემალ მაღლაკელიძემ გადავწყვიტეთ აგვეღო ინიციატიავა პატარა ხარაგაულში არსებული სასაფლაოს შემოღობვის თაობაზე. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სახელით დავწერეთ განცხადება, რომელსაც ხელი ორმოცდაათამდე მცხოვრებმა მოაწერა და მივმართეთ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს. მან გულთან მიიტანა ჩვენი თხოვნა და შეგვპირდა, რომ აუცილებლად დაგვეხმარებოდა საერთო კარგი საქმის გაკეთებაში. განცხადება დაეწერა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტ გივი კურტანიძეს და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების წამყვანი სპეციალისტ დავით პავლაძეს. მათთან ერთად აიზომა სასაფლაო და შედგა სათანადო გეგმა მის შემოსაღობად. გასულ წელს სახსრების უქონლობის გამო ვერ განხორციელდა ეს პროექტი და აი, წელს ბატონი კობას დახმარებით და ინიციატივით „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში დაბა ხარაგაულისთვის გამოიყო 20 000 ლარი, რომელიც მთლიანად პატარა ხარაგაულში არსებული ცენტრალური სასაფლაოს შემოღობვას მოხმარდა. აღნიშნულ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გამგებლის მოადგილემ, დავით დევდარიანმა, დაბის ყოფილმა რწმუნებულმა, გივი თხელიძემ და გამგებლის წარმომადგენელმა დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში პაატა ფცქიალაძემ. სამუშაოების შესრულება დაევალა ზაზა კაციტაძეს და ნიკოლოზ მღვდელაძეს, რომლებმაც სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები ხარისხიანად შეასრულეს. პროცესში მონაწილეობას იღებდნენ მინდია შარიქაძე, თემურ და დათო ლურსმანაშვილები.

პატარა ხარაგაულის მაცხოვრებლების სახელით უღრმეს მადლობას ვუხდით ბატონ კობა ლურსმანაშვილს და ყველა იმ ადამიანს ვინც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ საშვილთაშვილო საქმეში.

ღრმა პატივისცემით ომარ ბურჯანაძე

აქცია - „ტანსაცმელი ბავშვებს“!

დაბა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი იწყებს საქველმოქმედო აქციას „ტანსაცმელი ბავშვებს ''. აქციის მიზანია, დავეხმაროთ თითოეულ იმ ოჯახს, იმ მოსწავლეს , რომლებსაც სჭირდებათ ტანსაცმელი.

აქციაში ჩართვა შესაძლებელია 7 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით . სურვილის შემთხვევაში უნდა მობრძანდეთ, დაბა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

გვჯერა შევძლებთ, ერთად გავულამაზოთ ბავშვებს მთელი სასწავლო წელი.

მისამართი : ხარაგაული , 9 აპრილის ქ.N15

საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას“ მორიგი წარმატება

6 სექტემბერს, ქალაქ თბილისში, მერანის სტადიონზე პირველ ლიგაში მეორე ტურის გათამაშება გაიმართა. ერთმანეთს ხარაგაულის საფეხბურთო კლუბი ,,ჩხერიმელა“ და მარნეულის ,,ალგეთი დაუპირისპირდა“. თამაში მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა და იგი ხარაგაულელთა უპირატესი გამარჯვებით დასრულდა: ,,ჩხერიმელა“-,,ალგეთი“ 2:0. შეგახსენებთ, რომ ამ გამარჯვებით ,,ჩხერიმელამ“ სატურნირო ცხრილში საკმაოდ მაღალი ადგილი დაიმკვიდრა.

,,ქვიშის ფრენბურთის“ გამარჯვებული საღანძილის გუნდი გახდა

27 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ქვიშის ფრენბურთი“ დასრულდა. ტურნირი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის (დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი) და „ქართული ოცნება - ახალგაზრდულის ფრთის“ (თავმჯდომარე თიკო ლურსმანაში-

ლი) ორგანიზებით ჩატარდა. მასში 22 გუნდი მონაწილეობდა. გუნდები ხარაგაულის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები და ფრენბურთის მოყვარული ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. პირველობისთვის შეჯიბრება მდინარე ჩხერიმელას სანაპიროზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულისა და დაბის გუნდები დაუპირისპირდნენ. ტურნირში გამარჯვება კი საღანძილის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც დაბის გუნდი დაამარცხა. მესამე ადგილის მფლობელი მოყვარული ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული გუნდი „ტოკა“ გახდა. „ქვიშის ფრენბურთის“ გამარჯვებულებსა და საუკეთესო მოთამაშეებს ტურნირის ორგანიზატორებისგან სამახსოვრო საჩუქრები, სიგელები და მედლები გადაეცათ.

თამარ მაღრაძე

ვახანში მერაბ არევაძის სახელობის ტურნირი გაიმართა

27 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში, მერაბ არევაძის სახელობის ტურნირი მოეწყო. ტრადიციისამებრ შეჯიბრებები გაიმართა დოღში, მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში. ტურნირი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (უფროსი ირინე ჩხეიძე) და სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით (დირექტორი დავით გელაშვილი) ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა სოფელ ვახანის მოსახლეობა. შეჯიბრება მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის მიმდინარეობდა, რომლებიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან იყვნენ წარმოდგენილნი.

ს.ს.ი.პ „ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის წარმომადგენლებმა ტურნირში მონაწილე ფავორიტ სამ სპორტსმენს: მინდია არევაძეს, მერაბ თიკანაშვილი და გიორგი ღონღაძეს სიგელები და ფულადი ჯილდოები, (თითოს -150 ლარის ოდენობით) გადასცეს.

დოღში გამარჯვებული, სოფელ ზვარეში მცხოვრები, მერაბ თიკანაშვილი გახდა, რომელსაც პირველი ხარისხის მედალთან ერთად სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა. რაც შეეხება მკლავჭიდს, მასში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული წილად ხვდა მალხაზ სარალიძეს.

ქართულ ჭიდაობაში, მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენები ცხრა წონით კატეგორიასა და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ასპარეზობდნენ. გამარჯვებულებს მედლები გადაეცათ, ხოლო ქართული ჭიდაობის აბსოლუტურ ჩემპიონს, ვლადიმერ არევაძეს, მედალი და თასი უსახსოვრეს.

ქართული ჭიდაობაში პირველი ხარისხის მედლის მფლობელნი გახდნენ:

1. 35 კგ - შმაგი ცუცქირიძე - ვახანი;
2. 45 კგ - მიხეილ დალალიშვილი - ზვარე;
3. 50 კგ - გიორგი გოგოლაძე - ხარაგაული;
4. 55 კგ - სოსო გოგნაძე - ვახანი;
5. 60 კგ - ირაკლი ცხადაძე - ვახანი;
6. 70 კგ - დავით გოგნაძე - ზვარე;
7. 80 კგ - დავით ფერაძე - ვახანი;
8. 90 კგ - შალვა არევაძე - ვახანი;
9. +90 კგ -ავთო ჭიქავა - ვახანი.

თამარ მაღრაძე

განცხადება

ხარაგაულის სამუსიკო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ფორტეპიანოსა და ვიოლინოს განყოფილებაზე.

შვიდწლედ დამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ სამუსიკო ათწლედში.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 13:00 საათიდან.

ტელ:22-15-70.

გამომცემელი ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი

დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12